N 220 08/10/2020

ოქმი 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2020 წელი, 7 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
11.00 – 13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-- საკრებულოს თავმჯდომარე
ესწრებოდნენ:გ.ღურჯუმელიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; მუდმივმომქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, ლ.საჯაია, გ.კილაძე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები ტ.არუშიძე, დ.ჭაკნელიძე, ბ.დოლიძე, შ.გოგიბერიძე, ლ.მგელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, თ.გოგუაძე, ვ.ბერიძე, გ.მდინარაძე, ლ.ნინიძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ვ.ნიჟარაძე, ალ.ღლონტი, პ.კიღურაძე, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტუღუში, ვლ.ღლონტი, ლ.სიჭინავა.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 29 -მ, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29-ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე განცხადება გააკეთა საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ შ.გოგიბერიძემ-კერძოდ ექადია-ანასეულის ტერიტორიაზე მრავალწლიანი კედრების ხეების გაჩეხვის თაობაზე და შემოვიდა წინადადებით-საკრებულომ მიიღოს სამართლებრივი აქტი, რომელიც არ დაუშვებს მსგავსი ტერიტორიების გასხვისებას.

დღის წესრიგი

35.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების

სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განხილვა გადაიდო ერთი თვით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკითხის დაზუსტების მიზნით.

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განხილვა გადაიდო ერთი თვით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკითხის დაზუსტების მიზნით.

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ.26.33.23.103) შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განხილვა გადაიდო ერთი თვით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკითხის დაზუსტებისა და გასხვისების ფორმის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენის მიზნით.

საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ მერია ერთიდაიმავე ქონების განკარგვაზე ორი სხვადასხვა პროექტის წარმოდგენით საკრებულოს აყენებს უხერხულ სიტუაციაში, როდესაც მას ევალება, მუნიციპალიტეტის ქონებაზე შესაბამისი სამსახურების წინადადებების საფუძველზე, საკრებულოში წარმოადგინოს ყოველმხრივ გაანალიზებული განკარგვის ფორმა. საკრებულოს წევრ ვ.ჩიგოგიძის აზრით-ქონების განკარგვა უნდა მოხდეს პირობიანი აუქციონით. საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით, საკითხზე ადმინისტრაციული წარმოება გაგრძელდა ერთი თვით.

საკრებულოს წევრმა თ.გოგუაძემ განაცხადა, რომ საკრებულომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და მიიღოს გადაწყვეტილება. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ ლ.მგელაძემ დასვა შეკითხვა-როგორ მოიქცევა საკრებულო თუ

ერთი თვის შემდეგ იგივე სიტუაცია იქნება?

ქონების შეძენის მსურველმა ს.ერქომაიშვილმა განაცხადა, რომ ეს საკითხი დიდი ხანია განხილვის პროცესშია, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას შეიძლება ხელი შეეშალოს, მიღწეული უნდა ექნეს კონსესუსი.

36.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ შენიშვნები არ შემოსულა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას და კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

37.6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულიების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.29.24.112.498.00 კვ.მ.) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღებისთაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ შენიშვნები არ შემოსულა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას და კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

38.7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ კომისია მხარს უჭერს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გარეშე მის დამტკიცებას. საკრებულომ ეს წინადადება გაითვალისწინა.

39.8. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი
გოჩა კილაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 29-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ კომისია მხარს უჭერს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გარეშე მის დამტკიცებას. საკრებულომ ეს წინადადება გაითვალისწინა.

40.9. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი
გოჩა კილაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 29-ხმით

41.10. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი
გოჩა კილაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 29-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ კომისია მხარს უჭერს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გარეშე მის დამტკიცებას. საკრებულომ ეს წინადადება გაითვალისწინა.

42.11. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 29-ხმით

43.12. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ პროექტს თან უნდა ახლდეს ახსნა-განმარტებითი ბარათი სათანადო ფინანსური დასაბუთებით.

14.13. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

44.14. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

45.15. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გ.ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ დასვა შეკითხვა-თუ ისეთი პროექტი შემოვიდა, რომელიც რამდენიმე დასახლებას ეხება როგორ გადაწყდება საკითხი? მიეცა განმარტება.

46.16. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

47.17. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით „ქალაქ ოზურგეთის განაშენიანების გენერალური გეგმის მომზადების პროცესში“ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

საკითხის განხილვისას დასახელდა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა - თავმჯდომარე დ.დარჩია, წევრები: ლ.მგელაძე, გ.კილაძე, ლ.ბიგვავა, გ.ღურჯუმელიძე, ლ.საჯაია, ბ.დოლიძე, მ.ჩხიკვიშვილი, ხ.ცერცვაძე.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო